http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/userreport.cgi?mid=19&yid=v1937

“დინამო” (თბილისი) -“დინამო” (ლენინგრადი) - 1:3 (0:2)

12 ოქტომბერი. თბილისი. სტადიონი “დინამო”. 30 000 მაყურებელი.

მსაჯი: სტრეპიხეევი (მოსკოვი).

გოლები: 0-1 ბიკოვი (10), 0-2 ბიკოვი (18), 0-3 ბარიშევი (67), 1-3 დენისოვი (87, ავტოგოლი).

თბილისის “დინამო”: ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე (გუნდის კაპიტანი), ჭუმბურიძე, ვ. ჯორბენაძე, მ. მინაევი, გ. გაგუა, ჯეჯელავა (თ. გავაშელი), მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, ვ. ბერძენიშვილი, სომოვი.

“დინამო” (ლენინგრადი): კუზმინსკი, დენისოვი, კისელიოვი, ეგოროვი, ვალ. ფიოდოროვი, ოშენკოვი, ვას. ივანოვი, ალ. ფიოდოროვი, ბარიშევი, ნ. დემენტევი, ბიკოვი.

დაამატა: **ერლან მანაშევმა**

თბილისის “დინამოს” დამარცხება

საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის – კიევის “დინამოს” დამარცხების შემდეგ ყველა დარწმუნებული იყო, რომ თბილისელები შედარებით იოლად მოიპოვებდნენ გამარჯვებას ლენინგრადის “დინამოზე”. ეს რწმენა ემყარებოდა წარსულ შეხვედრებს, რომლებიც მეტწილად თბილისის “დინამოს” გამარჯვებით თავდებოდა, აგრეთვე ლენინგრადის არასაპატიო ადგილს საკავშირო პირველობის გათამაშების კალენდარში.

როცა თამაშის დაწყებისთანავე ლენინგრადელებმა სწრაფი ტემპი განავითარეს და ლამაზი კომბინაციების შედეგად მრავალჯერ სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენეს თბილისის კარები, – ბევრს ამისთვის სერიოზული მნიშვნელობა არ მიუცია. ამაზე უარესიც გვინახავსო – გულს არ იტეხდნენ ოპტიმისტები.

ლენინგრადელები კი ამ დროს თანდათან ეუფლებოდნენ “ბრძოლის” ინიციატივას. მშვენივრად თამაშობდა მათი ყველა რგოლი, განსაკუთრებით თავდასხმა. ამ უკანასკნელის წარმომადგენელთა შორის გამოირჩეოდა მარცხენა შუამარბი ნიკ. დემენტიევი, სახელგანთქმული ფეხბურთელის ორდენოსან პ. დემენტიევის ძმა.

მეცხრე წუთზე ლამაზი კომბინაციის შედეგად ლენინგრადის მარცხენა გარემარბი ბიკოვს გააქვს პირველი ბურთი. ორი წუთის შემდეგ ნ. დემენტიევმა ძლიერად დარტყმული ბურთი გაგზავნა თბილისის კარში, მაგრამ შტანგამ იხსნა თბილისელები მარცხისაგან.

მე-18 წუთზე იმავე ბიკოვმა მოხდენილად გაიტაცა ბურთი, გაუსხლტდა თბილისის რამდენიმე მოთამაშეს და მეორედ გაარღვია მო პირდაპირის კარი.

თბილისის “დინამოს” ამ დღეს ვერ იცნობდით. თითქოს ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ... მოუფიქრებელ, უაზრო თამაშში. ლენინგრადელების კოლექტიურ, ტექნიკურად ძლიერ თამაშს მათ უსისტემო, ინდივიადუალური თამაში დაუპირდაპირეს. მაგრამ ვერც ამაში გამოიჩინეს ოსტატობა. ბ. პაიჭაძემ ორი ნაბიჯიდან დააცილა ცარიელ ჭიშკარში. ბერძენიშვილები იშვიათად თუ მიაწვდიდნენ თავის ამხანაგებს სწორ პასს. ჯორბენაძე, რომ ვეღარაფერი გააწყო ძლიერ მოწინააღმდეგესთან, სარმაზე გადავიდა და ამიტომ გააძევეს კიდეც მინდვრიდან.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ ბატონ-პატრონნი მოედანზე ლენინგრადელები იყვნენ. ტაიმის ბოლოს მათ კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა იგი.

მეორე ტაიმში თბილსიელებმა შესცვალეს გ. ჯეჯელავა, რომლის მაგივრად თ. გავაშელი გამოვიდა. უკვე მეათე წუთზე ლენინგრადის მეკარე კუზმინსკის მოუხდა მისგან “მკვდარი” ბურთის აღება.

დროდადრო თბილისელები ახერხებენ მოწინააღმდეგის მცველთა ხაზის გარღვევას, უახლოვდებიან კარს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში იბნევიან, ან ზუსტად ვერ ურტყამენ.

მე-19 წუთზე ა. დოროხოვმა, რომელიც ამ დღეს ძალიან ცუდად თამაშობდა, მესამე ბურთი გაუშვა. ის ლამაზად გაიტანა ლენინგრადელების ცენტრ-ფორვარდმა ბარიშევმა.

ტაიმის უკანასკნელ წუთებში თბილისელები მედგრად დააწვნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ ანგარიშის შეცვლა ვეღარ შესძლეს. ბოლოს მათ თვითონ ლენინგრადელები დაეხმარენ: ლენინგრადის მცველმა დენისოვმა შ. შავგულიძისაგან მიღებული ბურთი ლამაზი თავური დარტყმით... თავის კარში გაგზავნა.

თამაში დამთავრდა ლენინგრადის "დინამოს" დამსახურებული გამარჯვებით ანგარიშით 3:1. ამ მატჩმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ თბილისელებმა უნდა ისწავლონ კოლექტიური თამაში, ბეჯითი ვარჯიშობით გაიუმჯობესონ თამაშის კლასი. დროა დავრწმუნდეთ, რომ ბურთის უაზრო ტრიალს, რა ვირტუოზობაც არ უნდა იყოს მასში ჩაქსოვილი, შედეგი არ მოაქვს.

ი.კ.
"კომუნისტი", 14 ოქტომბერი, 1937 წ.

დამარცხებული

ლენინგრადის "დინამო" – თბილისის "დინამო" – 3:1

ლენინგრადისა და თბილისის "დინამოს" გუნდების 12 ოქტომბრის მეორე წრის კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე დამთავრდა ლენინგრადელ ოსტატთა დამსახურებული გამარჯვებით, ანგარიში: 3:1.

გათამაშების მეორე წრეში მოსკოვის "დინამოსთან" პირველი კალენდარული მატჩის წაგებამ (0:4) საქმიანად ჩააფიქრა თბილისელი ოსტატები, რომლებმაც შემდგომი სამი შეხვედრა განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და მონდომებით ჩაატარეს. ამის შედეგად მიაღწიეს კიდეც საუკეთესო შედეგებს: დაამარცხეს სსრ კავშირის 1936 წლის ჩემპიონი მოსკოვის "სპარტაკი" (1:0); მოსკოვის "მეტალურგი" (4:0 და კიევის "დინამო" (5:3).

საბჭოთა კავშირის ამ სამი უძლიერესი კოლექტივის დამარცხებით თბილისელი ოსტატები დაუშვებელ თვითკმაყოფილებასა და უდარდელობას მიეცნენ...

თბილისის "დინამომ" არ შეაფასა საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგის შესაძლებლობანი. გაზეთის წინა ნომერში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ლენინგრადელმა ოსტატებმა მკრთალად ჩაატარეს გათამაშება: 15 მატჩიდან მათ მოიგეს მხოლოდ ერთი შეხვედრა, წააგეს 5 და 9 მატჩი კი ფრედ დაამთავრეს. 45 შესაძლებელიდან მათ მხოლოდ 26 ქულა დააგროვეს, მაგრამ ეს შედეგი ოდნავადაც არ იძლეოდა მოწინააღმდეგის ძალთა შეუფასებლობის უფლებას. და ეს მით უმეტეს, რომ ლენინგრადელმა ოსტატებმა გათამაშების ორივე წრეში, ფრედ დაამთავრეს შეხვედრები ჩვენი ქვეყნის ისეთ მძლავრ კოლექტივებთან, როგორიცაა მოსკოვის ოსტატთა გუნდები – "დინამო" (3:3, 2:2), და "სპარტაკი" (3:3, 0:0) და ლენინგრადის "კრასნაია ზარია" (2:2, 2:2).

ლენინგრადის "დინამოს" ეს საპატიო შედეგები უფრო მეტი ანგარიშის გაწევას მოითხოვდა, მაგრამ როგორც 12 ოქტომრის მატჩმა გვიჩვენა, თბილისელ ოსტატებს საჭირო დასკვნები არ გამოუტანიათ.

პირველ ტაიმში თბილისის "დინამოს" თავდასხმის ერთ-ერთი შედეგიანი მოთამაშის – მარჯვენა გარემარბის თ. გავაშელის ადგილზე გამოყავს ჯეჯელავა, რომელიც კოლექტიურად თამაშის ნაცვლად, ბურთის უმიზნო "წვალებით" (დაუსრულებელი მოტყუება-ტარებით) სისტემაურად ადუნებდა შეტევების ისედაც მკრთალ ტემპს და თავდამსხმელთა საერთო სწრაფვას შედეგიანობისათვის. თამაშის ასეთი ტაქტიკის შედეგად, ჯეჯელავას არც ერთი ხელსაყრელი მომენტი არ შეუქმნია მოწინააღმდეგის კართან.

მეორე და ძირითადი გადამწყვეტი ტაქტიკური შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მოწინააღმდეგის ძალთა შეუფასებლობით, გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებული თბილისელი ოსტატები თავიდანვე არასერიოზულად ეკიდებიან მატჩს, მოდუნებული ტემპით იწყებენ თამაშს; თავდამსხმელთა ყველა შეტევებს რაღაც სტიქიურობის ხასიათი აქვს. არ არის თამაშში კოლექტიურობის გარკვეული ტაქტიკა, არ არის კავშირი თავდაცვასთან, ხშირად უპატრონოდ არის მიტოვებული ცალკე მოთამაშეთათვის მიკუთვნებული მოედანი და სხვ.

მესამე შეცდომა – ეს უხეში უდისციპლინობის ფაქტია. მეორე ტაიმის მეოცე წუთზე ლენინგრადელები მესამე ბურთით არღვევენ თბილისელთა კარებს (ორი ბურთი გატანილი ჰქონდათ პირველ ტაიმში). ამ დროს მარჯვენა ჰავბეკი ჯორბენაძე მიუვარდება ბურთის გამტან ლენინგრადელ ოსტატს და ფეხის ამოკვრით "უმასპინძლდება". მართალია მსაჯმა ამ დაუშვებელ უხეშობისათვის

ჯორბენაძე გააძევა მოედნიდან, მაგრამ ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი უმსგავსობა მიუტევებელი დანაშაულია ოსტატთა გუნდისათვის. ამავე დროს ჯორბენაძემ, რომელსაც უხეშობის შედეგად დაატოვებინეს მოედანი, ცხადია, საგრძნობლად შეუმცირა თავის კოლექტივს ანგარიშის გასწორების შესაძლებლობაც.

თბილისის "დინამომ" მეორე ტაიმში გამოიყვანა ა. გავაშელი, რომელმაც დიდად გამოაცოცხლა თავდამსხმელთა შეტევები და მრავალი კრიტიკული მომენტი შექმნა სტუმრების კარებთან, მაგრამ ეს ღონისძიება დაგვიანებული აღმოჩნდა.

დროა ამ მატჩის შედეგიდან მაინც გამოტანილ იქნას შესაფერი დასკვნები.

პენალტი.
"ახალგაზრდა კომუნისტი", 14 ოქტომბერი, 1937 წ.